

შპს “თიბისი კაპიტალი”

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2018 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა..... 3

ფინანსური ანგარიშგება

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 6
სრული შემოსავლის ანგარიშგება 7
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ..... 8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია..... 10
2. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები..... 17
4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია 18
5. ფული და ფულის ეკვივალენტები 18
6. მოზარებული აქტივები და ვალდებულებები..... 18
7. სხვა აქტივები..... 19
8. გადასახადები 19
9. ინვესტიციები 19
10. საწესდებო კაპიტალი 20
11. სხვა ვალდებულებები 20
12. საბროკერო შემოსავლები და პირდაპირი ხარჯები..... 21
13. სხვა შემოსავალი 21
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 21
15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 22
16. კაპიტალის მართვა 24
17. პირობითი ვალდებულებები და აქტივები 25
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 26
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თიბისი კაპიტალის“ დამფუძნებელს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თიბისი კაპიტალის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტის შესაბამისად აღწერილია აუდიტორთა პასუხისმგებლობების აბზაცში. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელი ორგანიზაციისგან.

გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შეცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ორგანიზაციის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებთ და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც

ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:
ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)
შპს „ბიდოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
22 აპრილი, 2019 წელი

შპს „თიბისი კაპიტალი“

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	1,360,967	562,218
კლიენტების მიერ მობარებული თანხები	6	3,292,576	746,416
სხვა აქტივები	7	57,805	7,373
საგადასახადო აქტივი	8	-	23,245
ინვესტიციები	9	1,777,451	1,004,339
არამატერიალური აქტივები		19,157	7,724
სულ აქტივები		6,507,956	2,351,315
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	2,688,295	2,688,295
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		212,343	(1,235,060)
სულ კაპიტალი		2,900,638	1,453,235
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	8	10,937	-
მობარებული ვალდებულებები	6	3,292,576	746,416
სხვა ვალდებულებები	11	303,805	151,664
სულ ვალდებულებები		3,607,318	898,080
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,507,956	2,351,315

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2019 წლის 22 აპრილი დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ

მმართველი დირექტორი, საინვესტიციო
საბანკო მიმართულების ხელმძღვანელი

ირაკლი ელაშვილი

ბუღალტერი

ნინო ედიშერაშვილი

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	12	2,257,158	754,518
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	12	(587,943)	(332,776)
ნეტო საბროკერო შემოსავლები		1,669,215	421,742
სხვა შემოსავალი	13	53,268	78,395
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(119,010)	(40,384)
პერსონალის ხარჯები		(920,294)	(707,333)
სულ საოპერაციო მოგება/(ზარალი)		683,179	(247,580)
საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო		(3,239)	13,847
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო		(5,649)	(5,629)
შემოსულობა რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასებიდან	9	75,082	-
მოგება/(ზარალი), დაბეგრამდე		749,373	(239,362)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		749,373	(239,362)

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი), (გადაანგარიშებული)	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	2,688,295	(995,698)	1,692,597
წლის წმინდა ზარალი	-	(239,362)	(239,362)
2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებამდე)	2,688,295	(1,235,060)	1,453,235
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება - ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები	-	698,030	698,030
2018 წლის 1 იანვრი (გადაანგარიშებული)	2,688,295	(537,030)	2,151,265
წლის წმინდა მოგება	-	749,373	749,373
2018 წლის 31 დეკემბერი	2,688,295	212,343	2,900,638

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	749,373	(239,362)
შემოსულობა რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასებიდან	(75,082)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	2,765	1,975
საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	3,239	(13,847)
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი მოგება	5,649	5,629
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე	685,944	(245,605)
ზრდა/კლება:		
შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში	34,225	49,867
შემცირება სხვა აქტივებში	(48,733)	(1,523)
ზრდა სხვა ვალდებულებებში	103,996	145,676
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადსა და პროცენტებამდე	775,432	(51,585)
მიღებული პროცენტები	20,402	13,847
გადახდილი პროცენტები	(23,637)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე	772,197	(37,738)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
არამატერიალური აქტივების შექმნა	(14,196)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობაზე	(14,196)	-
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	4,107,818	-
სესხის დაფარვა	(4,107,818)	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	758,001	(37,738)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	562,218	610,898
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე	40,748	(10,942)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	1,360,967	562,218

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თიბისი კაპიტალი“ დაფუძნდა 1999 წელს. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,688,295 ლარს.

შპს „თიბისი კაპიტალი“ არის თიბისი ბანკის შვილობილი კომპანია და ლიცენზირებული საბროკერო ფირმა. 2017 წლიდან თიბისი კაპიტალი მოიაზრება თიბისი ბანკის კორპორატიული და საინვესტიციო ჯგუფის ნაწილად. თიბისი კაპიტალის ძირითადი საქმიანობა მოიცავს კორპორაციული ფინანსებისა და საკრედიტო სარეიტინგო საკონსულტაციო მომსახურებას, სესხისა და აქციების კაპიტალის ბაზრების, საბროკერო და კვლევით მიმართულებებს. თიბისი კაპიტალი ასევე არის საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერი და მონაწილეობს მის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში.

კომპანია რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. კომპანიას ეროვნული ბანკისგან განსაზღვრული აქვს კაპიტალის სავალდებულო მინიმალური მოცულობა, რომელიც შეადგენს 500,000 ლარს, კომპანია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, დამატებითი ინფორმაცია მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე იხილეთ მე-17 განმარტებით შენიშვნაში.

2. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველი

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, გარდა ინვესტიციებისა, რომლის კლასიფიკაციაც არის ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით (იხილეთ ფინანსური ინსტრუმენტების სააღრიცხვო პოლიტიკა).

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

2. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 ახალი ფასს-ის მიღება

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, და
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია გადავიდა ფასს 9 და ფასს 15-ზე 2018 წლის 1 იანვარის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე, ფასს 9 და ფასს 15, გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. კომპანიის შეფასებით ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე (2018 წლის 1 იანვარი) და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ფასს 15-ის დანერგვიდან გამომდინარე კორექტირებებს. კომპანია ფასს 9-ის შესაბამისად სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებამდე, ბასს 39-ის შესაბამისად თვითღირებულებით აღრიცხავდა ისეთ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებულ ინვესტიციებს, რომლისთვისაც არ არსებობს იდენტური ინსტრუმენტის აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი (1-ლი დონის ამოსავალი მონაცემი), ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად აღარ არის დაშვებული გამონაკლისი, რომლის ფარგლებშიც კომპანია თვითღირებულებით აღრიცხავდა წილობრივ ინსტრუმენტებს, ცვლილების გამო კომპანიამ დაიწყო აღნიშნული აქტივების რეალური ღირებულებით შეფასება, ცვლილებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-9 განმარტებით შენიშვნაში).

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ან არ შეესაბამება კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ იჯარას და ბალანსზე აღრიცხავს საოპერაციო იჯარას სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰკავს დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის პრინციპს. იჯარის გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარის გამცემი განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულის და ფულის ეკვივალენტების და სხვა მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან წამოშობილი მოგება/ზარალი“

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ბრიტანული ფუნტი
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6766	3.0701	3.3955
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2.5922	3.1044	3.5005

2.4 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლების ძირითად ნაწილს წარმოადგენს საკომისიოს ობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებით, ასევე საკომისიოს სავაჭრო პლატფორმაზე კლიენტების დავალებით აქციებით ვაჭრობის მომსახურების გაწევისთვის. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

2. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემოსავალი ობლიგაციების გამოშვებიდან და გაყიდვიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს ობლიგაციების გამოშვებასთან, შექმნასთან მიმოქცევასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურებას. მომსახურება მოიცავს ორ ძირითად ვალდებულებას: ობლიგაციების განთავსებას და აგენტის მომსახურებას.

ობლიგაციის განთავსებიდან კომპანია, შემოსავალს აღიარებს ობლიგაციების შემქმნისათვის გადაცემის მომენტში.

აგენტის მომსახურება მოიცავს ობლიგაციის გამოშვებასთან, შექმნასთან, მიმოქცევასთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, მომსახურების გაწევა ხდება რეგულარულად, ობლიგაციის დაფარვამდე, შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში ობლიგაციის ვადის პროპორციულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების შესაბამისად.

შემოსავალი სხვა საბროკერო მომსახურებიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს საერთაშორისო საბროკერო პლატფორმაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მომსახურებას. მომსახურების გაწევა კლიენტის მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელებისას (აქციების ყიდვა, გაყიდვა, თანხების გადარიცხვა და სხვა), დროის კონკრეტულ მომენტში ხდება, აღნიშნულ ოპერაციებზე შემოსავალი ტრანზაქციის შესრულების დღეს აღიარდება.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავალი ობლიგაციებიდან წარმოადგენს ობლიგაციების განთავსების ღირებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროცენტს, თითოეული განთავსებიდან მიღებული შემოსავლის დაანგარიშება ხდება აღნიშნული განაკვეთით. ობლიგაციის თანმდევი აგენტის მომსახურების წლიური ღირებულება ფიქსირებული თანხაა ყველა კლიენტისთვის.

საბროკერო პლატფორმაზე ვაჭრობის საკომისიო განსხვავდება ფინანსური ინსტრუმენტის და სავაჭრო ბირჟის მიხედვით, საკომისიო განაკვეთები ფიქსირებულია და იდენტურია ყველა კლიენტისთვის.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტები არის ფიქსირებულ ფასიანი. კონტრაქტში თითოეული ვალდებულებისთვის მითითებულია შესაბამისი საკომისიო.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ფასს 9-ით განსაზღვრული შემდეგი გათავისუფლება: ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

2. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.5 ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს სპეციალურ განმარტებით შენიშვნებს, რომლის მიხედვითაც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით, რომელიც წარმოაჩენს რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ განსხვავებულ მეთოდებს. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. აქტიური ბაზრის კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის (დონე 1);
2. პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა აქტივებისა და ვალდებულებების პირდაპირ (ფასების მიხედვით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) შეფასება სხვა დაკვირვებად ბაზრებზე არსებული ფასების მიხედვით (დონე 2);
3. ისეთი აქტივების ან ვალდებულებების შეფასება, რომელიც არ არის წარმოდგენილი დაკვირვებად ბაზარზე (კალკულაცია დაკვირვების გარეშე) (დონე 3).

რეალური ღირებულების იერარქიის დონე, რომელშიც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება არის წარმოდგენილი, განსაზღვრულია ყველაზე დაბალი დონის მიხედვით რომელიც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შეფასებისათვის. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მთლიანობაში კლასიფიცირებულია ამ სამი დონიდან მხოლოდ ერთში.

2.6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში, საბროკერო ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებსა და მოთხოვნამდე, 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს.

2.7 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2.8 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. კომპანიის მიერ ფასს 9-ის შესაბამისად შეცვლილი ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა), ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით ასახული პირობით.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფასს 9-ის საფუძველზე, ზოგადად ეფუძნება ბიზნეს-მოდელს, რომელშიც იმართება ფინანსური აქტივი და მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები. სტანდარტი აუქმებს ბასს 39-ის შემდეგ კატეგორიებს: „დაფარვის ვადამდე ფლობილი“, „სესხები და მოთხოვნები“ და „გასაყიდად ხელმისაწვდომი“.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში. აღნიშნულში შედის ყველა წარმოებული ფინანსური აქტივი.

2. ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი, ინვესტიციების გარდა დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, ინვესტიცია დაკლასიფიცირდა „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციის შემდგომი საანგარიშგებო პერიოდის პირველი დღიდან.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებად. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის) კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა გრძელვადიან და მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების განაშთვა

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების განაშთვა მაშინ ხდება, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

2.10 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.11 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

გადასახადები. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე. შესაბამისად, კომპანია თვლის, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პრობლემური არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია.

ინვესტიციების შეფასება. კომპანიის ინვესტიციები კლასიფიცირებულია „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

კომპანიამ ინვესტიციები თავად შეაფასა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი აქტივების შეფასებაში. შეფასება განხორციელდა რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქიაში მე-3 დონის ინფორმაციის საფუძველზე.

არა კოტირებული კაპიტალის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია შემოსავლების მეთოდის გამოყენებით. შემოსავლების მეთოდი ეფუძნება არა დაკვირვებად მონაცემებს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შეფასების ობიექტზე.

ინვესტიციების რეალური ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები მოცემულია მე-9 განმარტებით შენიშვნაში.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისათვის, 2017 წელს გაკეთდა ქვემოთ მოცემული რეკლასიფიკაცია:

წინა პერიოდის კლასიფიკაცია	ახალი კლასიფიკაცია	თანხა
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	13,847

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში ლარში	639,418	185,214
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	485,709	316,994
ფულადი სახსრები საბროკერო პლატფორმაზე	235,840	60,010
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,360,967	562,218

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე შეგიძლიათ იხილოთ მე-15 შენიშვნაში.

6. მოზარებული აქტივები და ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
კლიენტების ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში ლარში	18,517	40,191
კლიენტების ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	146,533	148,147
კლიენტების ფულადი სახსრები უცხოურ ბანკებში საბროკერო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	3,127,526	558,078
სულ მოზარებული აქტივები	3,292,576	746,416

მოზარებული აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის მიერ განთავსებულ კლიენტების თანხებს რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში საბროკერო საქმიანობისთვის. ინფორმაცია ვალუტების მიხედვით არსებულ ნაშთებზე მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის რეგისტრირებულ კლიენტთა რაოდენობა შეადგენს 607 და 488 შესაბამისად, აღნიშნული კლიენტების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების ჯამურმა ღირებულებამ 2018 და 2017 წელს შეადგინა 1,368,797,081 ლარი და 231,125,202 ლარი შესაბამისად.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. სხვა აქტივები

ფინანსური მოთხოვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სხვა მოთხოვნები კლიენტების მიმართ	13,248	7,373
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	44,557	-
სულ სხვა აქტივები	57,805	7,373

8. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიამ გადასახადები ერთიანი სახაზინო კოდექსე უნდა გადაიხადოს, აღნიშნული კოდი გამოიყენება ყველა სახის გადასახადისთვის. შესაბამისად, კომპანია საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს განაშთულს. კომპანიას აქვს საგადასახადო ვალდებულება 10,937 ლარის ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის კი ჰქონდა საგადასახადო აქტივი 23,245 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

9. ინვესტიციები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაშთი წლის დასაწყისში ბასს 39-ის მიხედვით	1,004,339	1,004,339
საწყისი ნაშთის გადაანგარიშება	698,030	-
ზრდა წლის განმავლობაში	75,082	-
სულ ინვესტიციები	1,777,451	1,004,339

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიცია შედგება სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" და სს "თბილისის საფონდო ბირჟის" ჩვეულებრივი აქციებისგან.

ინვესტიციის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 24 დეკემბერსაა განხორციელებული, აღნიშნულ თარიღამდე თიბისი კაპიტალი სს "საქართველოს საფონდო ბირჟაში" ფლობდა ჩვეულებრივი აქციების 4%-ს, რომლის ღირებულებაც 7,998 ლარი იყო.

2016 წელს 24 დეკემბერს კომპანიამ განახორციელა დამატებითი ინვესტიცია სს "საქართველოს საფონდო ბირჟაში" 178,000 ლარის ოდენობით, ინვესტიციის შემდეგ კომპანიის წილმა სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" სააქციო კაპიტალის 17.33% შეადგინა. ამავე თარიღში კომპანიამ შეიძინა სს "თბილისის საფონდო ბირჟის" ჩვეულებრივი აქციები 818,342 ლარის ოდენობით, ინვესტიციის შემდეგ კომპანიის წილმა სს "თბილისის საფონდო ბირჟის" სააქციო კაპიტალის 21,59% შეადგინა. ინვესტიციის მიზანი საქართველოში საფონდო ბირჟის განვითარების ხელშეწყობაა.

კომპანიის ინვესტიციების კლასიფიკაცია წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების მოგება/ზარალში ასახვით.

კომპანიამ ინვესტიციები თავად შეაფასა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი აქტივების შეფასებაში. შეფასება განხორციელდა რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქიაში მე-3 დონის ინფორმაციის საფუძველზე.

არა კოტირებული კაპიტალის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია შემოსავლების მეთოდის გამოყენებით. შემოსავლების მეთოდი ეფუძნება არა დაკვირვებად მონაცემებს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შეფასების ობიექტზე. აღნიშნული მონაცემები მოიცავს მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას და დისკონტირების განაკვეთს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. ინვესტიციები (გაგრძელება)

რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები

ფულადი ნაკადების შედგენისას მოხდა შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებების გამოყენება:

- ფულადი ნაკადების პროგნოზები განისაზღვრა კომპანიის მიმდინარე საოპერაციო შედეგებზე და მომავალ ბიზნეს გეგმაზე დაყრდნობით;
- კომპანიის ბიზნეს გეგმის მიხედვით მომავალი 9 წლის მანძილზე ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარზე ყოველწლიურად იქნება მნიშვნელოვანი ზრდა, რაც გამოხატული იქნება ბირჟაზე A და B კატეგორიის აქტივების პირველადი შეთავაზებისა და ობლიგაციების განთავსების ზრდაში;
- მენეჯმენტი მომავალში ვარაუდობს ბირჟის საქმიანობის მნიშვნელოვან გაფართოებას პროგნოზირებული პერიოდის შემდეგ პერიოდებში, შესაბამისად შემოსავლების და ხარჯების მუდმივი ცვლილების განაკვეთად აღებულია 5%;
- კაპიტალურ დანახარჯებად ნაგულისხმებია აქტივების შენარჩუნების ხარჯები, რომლებიც დათვლილია, როგორც საოპერაციო აქტივების წლიური ცვეთის ტოლი დანახარჯი;
- კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (დადისკონტირების განაკვეთი) განსაზღვრულია კორპორაციული სესხების საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთის და შესაბამისი ბიზნესის რისკის პრემიის გათვალისწინებით შეფასების თარიღებისთვის (2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრისთვის განაკვეთი 15.5%-დან 15.9%-მე დიაპაზონში განისაზღვრა).

10. საწესდებო კაპიტალი

	%	31 დეკემბერი 2018	%	31 დეკემბერი 2017
სს "თი ბი სი" ბანკი	100%	2,688,295	100%	2,688,295
სულ საწესდებო კაპიტალი	100%	2,688,295	100%	2,688,295

11. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გადასახდელი კომპენსაციები	296,142	112,614
სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ	4,959	30,472
გადავადებული შემოსავალი	2,704	8,578
სულ სხვა ვალდებულებები	303,805	151,664

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

12. საბროკერო შემოსავლები და პირდაპირი ხარჯები

	2018	2017
საკომისიო ობლიგაციების გამოშვებიდან	1,911,360	643,900
შემოსავალი სხვა საბროკერო საქმიანობიდან	314,651	101,562
სხვა	31,147	9,056
სულ შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	2,257,158	754,518

	2018	2017
საკონსულტაციო ხარჯები	(256,835)	(96,783)
ხელფასები	(108,925)	(73,170)
საკომისიო ხარჯები	(106,296)	(40,162)
მომსახურების ხარჯები	(96,137)	(116,575)
სხვა	(19,750)	(6,086)
სულ პირდაპირი ხარჯები	(587,943)	(332,776)

13. სხვა შემოსავალი

2018 წელს კომპანიამ საბროკერო საქმიანობასთან ერთად საკონსულტაციო მომსახურებიდანაც მიიღო შემოსავალი. მომსახურება მოიცავდა საკრედიტო რეიტინგის და სხვა საკონსულტაციო შემოსავლებს. საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 53,268 და 78,396 ლარი 2018 და 2017 წლების შესაბამისად.

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
კონსულტაციის ხარჯი	(58,275)	(15,096)
ტრენინგის ხარჯები	(30,473)	-
მივლინების ხარჯი	(11,780)	(14,668)
საიჯარო ხარჯი	(3,050)	(2,910)
საბანკო ხარჯი	(4,384)	(4,243)
ამორტიზაცია	(2,763)	(1,975)
სხვა ხარჯები	(8,285)	(1,492)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(119,010)	(40,384)

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი;

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოეშობა რისკები, არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული ბანკში	1,360,967	562,218
მობარებული აქტივები	3,292,576	746,416
სხვა ფინანსური აქტივები	1,790,699	1,011,712
მობარებული ვალდებულებები	3,292,576	746,416
სხვა ვალდებულებები	298,846	143,086

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბიზნეს რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება. უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებებსა და შესაბამის ხელმძღვანელობაზე.

კომპანიის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და ასევე იქნება რეგულირებასთან თანხვედრაში. რისკები ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში.

იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები, რომლებიც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაანეიტრალებლად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ბრიტანული ფუნტი	ევრო	2018
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	639,418	705,391	77	16,081	1,360,967
მობარებული აქტივები	18,517	3,033,639	66,943	173,477	3,292,576
სხვა ფინანსური აქტივები	1,790,699	-	-	-	1,790,699
სულ ფინანსური აქტივები	2,448,634	3,739,030	67,020	189,558	6,444,242
ფინანსური ვალდებულებები					
მობარებული ვალდებულებები	18,517	3,033,639	66,943	173,477	3,292,576
სხვა ვალდებულებები	298,846	-	-	-	298,846
სულ ფინანსური ვალდებულებები	317,363	3,033,639	66,943	173,477	3,591,422
ღია სავალუტო პოზიცია	2,131,271	705,391	77	16,081	

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ბრიტანული ფუნტი	ევრო	2017
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	245,224	300,388	-	16,606	562,218
მობარებული აქტივები	40,756	196,892	317,887	190,881	746,416
სხვა ფინანსური აქტივები	1,011,712	-	-	-	1,784,824
სულ ფინანსური აქტივები	1,297,692	497,280	317,887	207,487	3,093,458
ფინანსური ვალდებულებები					
მობარებული ვალდებულებები	40,756	196,892	317,887	190,881	746,416
სხვა ვალდებულებები	143,086	-	-	-	143,086
სულ ფინანსური ვალდებულებები	183,842	196,892	317,887	190,881	889,502
ღია სავალუტო პოზიცია	1,113,850	300,388	-	16,606	

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძობელობას აშშ დოლარის ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ.

მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს ნეტო მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

2018	აშშ დოლარი კურსის ცვლილების გავლენა	
	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%
მოგება/(ზარალი)	141,078	(141,078)
2017	აშშ დოლარი კურსის ცვლილების გავლენა	
	ლარი/დოლარი + 30%	ლარი/დოლარი - 30%
მოგება/(ზარალი)	60,078	(60,078)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაანეიტრალებლად ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს.

ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულების დაფარვის ვადა არის ერთ წელზე ნაკლები.

16. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ისე რომ კომპანიამ გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგება, და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

17. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

სასამართლო დავა

ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა. თუმცა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის მიმართ არ ყოფილა არანაირი მატერიალური სასამართლო დავა.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. მენეჯმენტის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახადელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 31,851 ლარი.

მარეგულირებლის რეგულაციებთან შესაბამისობა

კომპანია რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. კომპანიის მიერ დასაკმაყოფილებელი რეგულაციები მოცემულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე N145/04 ბრძანებაში.

N145/04 ბრძანებაში 2018 წელს შევიდა ცვლილებები, რომლებიც საბროკერო კომპანიებს ავალდებულებს, რომ მოახდინონ საკუთარი და კლიენტების აქტივების გამიჯვნა და რეკონსილაცია. კომპანია სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, რასთან დაკავშირებითაც ამავე ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად ეროვნულ ბანკს წლიურ აუდიტირებულ ანგარიშგებასთან ერთად წარუდგენს აუდიტორის მიერ მომზადებულ წერილს ხელმძღვანელობისადმი და განცხადებას, რომ საბროკერო კომპანია აკმაყოფილებს N145/04 ბრძანების მე-9 მუხლში შესული ცვლილებით მოთხოვნილ რეგულაციებს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

		31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
	ურთიერთობის ტიპი	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები
მობარებული თანხები			
სს თიბისი ბანკი	დამფუძნებელი	165,049	188,338
ფული და ფულის ეკვივალენტები			
სს თიბისი ბანკი	დამფუძნებელი	1,125,127	562,218
მობარებული ვალდებულებები			
სს თიბისი ბანკი	დამფუძნებელი	107,064	188,338
სხვა ვალდებულებები			
უმაღლესი ხელმძღვანელობა	უმაღლესი ხელმძღვანელობა	230,000	102,614

დირექტორების და უმაღლესი ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამჯელო		
- მოკლევადიანი გასამრჯელო	(500,217)	(542,744)

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებში აღიარებულ თანხებს:

		2018	2017
		დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	ურთიერთობის ტიპი		
სს თიბისი ბანკი	დამფუძნებელი	(7,434)	(3,688)
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან			
სს თიბისი ბანკი	დამფუძნებელი	20,402	13,847
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან			
შპს "თიბისი კრედიტი"	სხვა დაკავშირებული მხარე	2,028	34,888
სს "თიბისი ლიზინგი"	სხვა დაკავშირებული მხარე	275,838	3,599

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან მაკორექტირებელ და არამაკორექტირებელ მოვლენებს.